პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 18 ნოემბერი, 1989 წელი ● № 47 (2872) ● СУББОТА, 18 НОЯБРЯ 1989 г.

ПАРТИЙНАЯ ЖИЗНЬ: К ИТОГАМ ОТЧЕТОВ И ВЫБОРОВ

## ПРИНЦИПИАЛЬНО АНАЛИЗИРУЯ ПРОДЕЛАННУЮ РАБОТУ

**В октябре завершилась отчетно-выборная кампания в партгруппах, цеховых и первичных партийных организациях органов внутренних дел Грузинской ССР. В нынешнем году она проходила в сложных условиях, на фоне обострившейся в связи с активизацией деятельности неформальных объединений, межнациональными конфликтами и ростом преступности в целом, общественно-политической ситуации в республике. Все это определило особую значимость отчетно-выборной кампании, в ходе которой коммунисты должны были дать принципиальный анализ своей работе в сложившихся неординарных условиях.**

ГЛАВНАЯ роль в ходе подготовки и проведения собраний отводилась глубокому анализу морально-психологического климата в организациях, причин негативных проявлений как среди членов партии, так и среди всего личного состава, состояния работы по перестройке деятельности ОВД в свете требований, выдвинутых М. С. Горбачевым на совещании в ЦК КПСС в июле т. г. В подготовительный период политотделом МВД ГССР, с учетом требований Политического управления МВД СССР, были разработаны и направлены во все партийные организации рекомендации по подготовке и проведению собраний. В августе в связи с началом отчетно - выборной кампании были проведены зональные совещания с политработниками и секретарями партийных организаций.

В целях оказания практической помощи в подготовке собраний за каждой парторганизацией были закреплены руководители, члены коллегий, начальники управлений и самостоятельных отделов, их заместители, партийный актив. Повышенное внимание было уделено партийным организациям ОВД Абхазской АССР, Западной Грузии и Нижне-Карталинской зоны, где обострена обстановка на почве межнациональных конфликтов.

Конкретная методическая помощь в организации и проведении отчетно-выборной кампании была оказана местными партийными комитетами, что явилось еще одним результатом укрепления связи с ними политработников ОВД. На отчетах и выборах цеховых и первичных партийных организаций, насчитывающих менее 15 членов КПСС, присутствовали 10 представителей ЦК КП Грузии, обкомов партии, 166 работников местных партийных и советских органов.

Пропаганде положительных примеров организации собраний уже в ходе отчетов и выборов способствовали систематические целевые публикации в республиканских, областных, городских и районных газетах, в многотиражной газете МВД ГССР «Боевой страж».

В большинстве случаев собрания прошли организованно, по-деловому. Коммунисты в основном принципиально и взыскательно подошли к оценке результатов работы по перестройке деятельности органов внутренних дел, наметили конкретные меры по усилению партийного влияния на оперативно-служебную деятельность, укреплению дисциплины и законности среди личного состава, повышению авторитета органов внутренних дел республики.

Особое внимание было уделено обсуждению письма ЦК КПСС «К партийным организациям, ко всем коммунистам», проекта платформы КПСС «Национальная политика партии в современных условиях», выступления Генерального секретаря ЦК КПСС т. М. С. Горбачева по Центральному телевидению 9 сентября т. г., Постановления Верховного Совета СССР «О решительном усилении борьбы с преступностью».

В отчетных докладах делался анализ истинного положения дел в органах и подразделениях, состояния оперативной обстановки, готовности личного состава к действиям в экстремальных условиях. Остро ставились вопросы улучшения внутрипартийной работы, поведения отдельных коммунистов.

Показателем критического подхода коммунистов ОВД к результатам своей работы являются решения первичных партийных организаций Автозаводского отделения РОВД и СИЗО—2 г. Кутаиси, цеховых парторганизаций служб ОУР, участковых инспекторов и спецподразделений Сухумского ГОВД, партийной группы строевого подразделения Очамчирского РОВД, признавших неудовлетворительной работу своих партийных вожаков.

На собраниях острая критика прозвучала в адрес партийных бюро, комитетов, парторганизаций. Коммунисты открыто и принципиально требовали принятия мер по перестройке работы выборных органов, высказывали недовольство тем, что партийные организации неглубоко вникают в текущие дела, в проблемы коммунистов, других сотрудников ОВД, мало влияют на практическую работу органов, слабо борются с бюрократизмом и формализмом.

Всего в ходе отчетов было

(Окончание на 2-й стр.).

## НА ПУТИ К ПРАВОВОМУ ГОСУДАРСТВУ

**РЯД НОВЫХ законодательных актов, ставших новым шагом на пути строительства правового социалистического государства, принят на прошлой неделе Верховным Советом СССР. Приняты Законы Союза Советских социалистических республик «О порядке обжалования в суд неправомерных действий органов государственного управления и должностных лиц, ущемляющих права граждан» и «Об ответственности за неуважение к суду».**

**Президиумом Верховного Совета СССР принято также Постановление «О несоответствии некоторых законодательных актов союзных республик Конституции СССР».**



დღევანდელ პირობებში დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება მილიციის ორგანოებს. დაიძაბა ცხოვრება, გართულდა მილიციის მუშაკთა შრომა. ზოგჯერ ჩვენს თანამშრომლებს სიცოცხლის ფასად უხდებათ საზოგადოებრივი წესრიგის, ადამიანთა უსაფრთხოების დაცვა. ბოლო დროს ერთგვარი შემობრუნება იგრძნობა საზოგადოების მხრიდან მილიციასთან დამოკიდებულებაში. იგი უფრო ახლობელი, ეროვნული გახდა.

ფოტოზე გამოსახულია თბილისის მილიციის მოწინავე თანამშრომელთა ერთი ჯგუფი: გ. მინდიკაური, ხ. ანთაძე, შ. ენუქიძე, ზ. გაბუნია, ს. კობერიძე, ა. ახაშვილი, გ. გაგუა და ი. ნაჭყებია.

ა. ვაჩიანის ფოტო.

პოზიცია

## მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით

დღეს, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ასეთი დიდი მასშტაბით მიმდინარეობს ძვრები ცხოვრების ყველა სფეროში, ეჭვგარეშეა, რომ გარდაქმნის ერთ-ერთ აუცილებელ ფაქტორად რჩება მოზარდი თაობის აღზრდასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა.

ბოლო პერიოდში მიღებულმა გადაწყვეტილებებმა წინ წამოსწიეს სერიოზული მოთხოვნები ახალგაზრდობის აღზრდის სისტემის სრულყოფისათვის.

საკითხის ასე დაყენება მოითხოვს დანაშაულობასთან ბრძოლის პრობლემის ახლებურად გადაჭრას. უნდა ვიბრძოლოთ თითოეული ადამიანის ბედისათვის და არა პროცენტული მაჩვენებლებისათვის.

გასულ წელს გაიზარდა რაიონში არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული. არც მიმდინარე წელსაა უკეთესი მდგომარეობა.

რა არის მიზეზი არასრულწლოვანის საბრალდებო სკამზე მოხვედრისა? — უპირველეს ყოვლისა, არასწორი აღზრდა ოჯახში, ქუჩის უარყოფითი გავლენა, სასწავლო-სააღმზრდელო ორგანიზაციების გულგრილობა და ა. შ. ყველაფერი ეს ერთად თავმოყრილი გვაძლევს მეტად არასახარბიელო შედეგს.

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულობათა და სამართალდარღვევათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი არასრულწლოვანი ხანგრძლივი დროის განმავლობაში სჩადიოდა დანაშაულს და ამის შესახებ არაფერი იცოდნენ მილიციის მუშაკებმა. არ ექცევა სათანადო ყურადღება ადრეულ პროფილაქტიკის ისეთ მნიშვნელოვან სფეროს, როგორიცაა სისტემატური კონტაქტი და მუშაობა ე. წ. არაკეთილსაიმედო ოჯახებთან. ჩვენს ქვეყანაში ბავშვებზე ზრუნავს სახელმწიფოც, სკოლაც, საზოგადოებაც, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, აღზრდის მთელი დატვირთვა ოჯახზე მოდის. მშობლების როლი ამ საქმეში განუსაზღვრელია და, რა დასანანია, როცა ხშირად ვხვდებით ისეთ ოჯახებს, სადაც არაფრად დაგიდევენ შვილებზე ზრუნვას.

არანაკლებ საშიში არიან ისეთი ოჯახები, რომლებიც ერთი შეხედვით, თითქოს კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ, სინამდვილეში კი აღზრდის მახინჯი ფორმებით დიდ შეცდომებს უშვებენ მოზარდი თაობის აღზრდაში. ისინი ხშირ შემთხვევაში თავიანთი შვილების ქომაგად გვევლინებიან და ყოველნაირად ცდილობენ კალთა გადააფარონ მათ. არ გამოაქვთ დასკვნები შვილების მიერ ჩადენილი დანაშაულობებიდან, უფრო მეტიც, ხელს უშლიან პედაგოგებს, ინსპექციის მუშაკებს.

ცხოვრება არცერთ წინდაუხედავ ნაბიჯს არ გვაპატიებს, ყველაზე მძიმე სასჯელით დაგვსჯის, რამეთუ ყოველივე — დედისა და მამის ნამოქმედარი, ყოველი კარგი თუ ცუდი ნაბიჯი შვილის სულში აღიბეჭდება, მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში გაუცნობიერებლად ღებულობს მონაწილეობას.

აქედან გამომდინარე საჭიროა ყოველდღიური, დაძაბული, მიზანმიმართული მუშაობა, საქმისადმი ერთგულება, მკაცრი ზომები მივიღოთ მანამ „სანამ ურემი გადაბრუნდება", სათავეშივე ამოვძირკვოთ მოზარდთა დანაშაულებრივი მოქმედება.

საჭიროა უფრო ეფექტიანი ღონისძიებების გატარება. მაგრამ ვინ უნდა გაატაროს ეს ღონისძიებები. რა თქმა უნდა, პირველ რიგში არასრულწლოვანთა ხაზით მომუშავე უბნის ინსპექტორებმა. მაგრამ მათი მონდომება და საქმისადმი სიყვარული არ იძლევა იმის უფლებას ვთქვათ, რომ აქ ყველაფერი რიგზეა. თითქმის ყველა მუშაკს გაქცევაზე უჭირავს თვალი, რადგანაც რთული უბანია, არა აქვთ მუშაობის ელემენტარული პირობები. მოზარდზე ზემოქმედება რომ მოახდინო უნდა ერკვეოდე აღმზრდელობითი მუშაობის ყველა ნიუანსებში, უნდა იყო ფსიქოლოგიც, პედაგოგიც, აღნიშნული სამსახურის პედაგოგებით დაკომპლექტების შესახებ ბევრი ითქვა, მაგრამ შედეგი არ მოჰყოლია. თუმცა ყველაფრის გადაბრალება ამ სამსახურის მუშაკებზე არ იქნება სწორი, რადგანაც ის სამი რგოლი ოჯახი, სასწავლო-სააღმზრდელო ორგანიზაცია და საზოგადოებრიობა მოშლილია, არ არის შეთანხმებული, მიზანმიმართული მუშაობა.

სასწავლო-სააღმზრდელო ორგანიზაციებში ძნელადაღსაზრდელებზე შეფების მიმაგრების საკითხიც ატარებს ფორმალურ ხასიათს. ამ საქმეში არც კომკავშირის რაიონული კომიტეტი იჩენს სათანადო დაინტერესებას. დღემდე მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ქუჩის მავნე ზემოქმედებისა და მოზარდთა თავისუფალი დროის ორგანიზაციის საკითხები.

ნაკლოვანებებზე შეიმჩნევა რაიგანყოფილების მუშაკების მიერ ჩა-

(დასასრული მე-2 გვ-ზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ОКОНЧАНИЕ)

# ПРИНЦИПИАЛЬНО АНАЛИЗИРУЯ ПРОДЕЛАННУЮ РАБОТУ

высказано около 400 критических замечаний и жалоб, в том числе в адрес непосредственных руководителей и вышестоящих МВД-УВД. Замечания, высказанные в адрес МВД СССР, в основном касались вопросов укрепления материальной базы ОВД, оснащения их транспортом, современной криминалистической и вычислительной техникой, улучшения социально-бытовых условий сотрудников. Замечания в адрес политического управления МВД СССР касались недостаточного обеспечения методическими рекомендациями по организации интернационального и патриотического воспитания личного состава, осуществления партийно-политической работы в экстремальных условиях.

Показателем возросшей активности коммунистов явился и их неформальный подход к выборам партгрупоргов, секретарей цеховых и первичных парторганизаций. В подавляющем большинстве выборы прошли на альтернативной основе, по их итогам сменяемость секретарей первичных парторганизаций составила 22,4 процента. Это наиболее низкий показатель за последние три года, свидетельствующий о том, что в прошлом году подбор кандидатур партийных руководителей был сделан в основном верно, и большинство из них оправдало доверие коммунистов.

При активном участии коммунистов, по-деловому, принципиально прошли партийные собрания в первичных партийных организациях СВПЧ—4 г. Тбилиси, г. Поти, Знаурского РОВД. Душетского подразделения ДПС ГАИ, ОВПО—5 г. Кутаиси.

В обстановке взаимной требовательности, развития внутрипартийной демократии, укрепления партийной и государственной дисциплины, повышения авангардной роли членов партии за порученное дело прошли отчеты и выборы в цеховых парторганизациях ИЦ МВД ГССР, ОУР Первомайского РОВД г. Тбилиси, ОБХСС УВД г. Кутаиси, 1-го отделения Руставского ГОВД, ОК МВД Абхазской АССР, Пицундского отделения Гагрского ГОВД, а также в партийных группах ГАИ и МРЭО Самтредского РОВД, отдела ООП УВД Юго-Осетинской АО, ДЧ Гардабанского РОВД, участковых инспекторов Сенакского РОВД, ОУР Ахалцихского РОВД и многих других.

В ходе отчетов и выборов была продолжена работа по дальнейшему упорядочению и совершенствованию структур парторганизаций, на две единицы возросло количество цеховых организаций, вместе с тем, на 6 процентов сократилось число партийных групп. Приняты также меры по снятию с учета в парторганизациях ОВД коммунистов-пенсионеров, а также коммунистов—работников других ведомств.

Вместе с тем, наряду с положительными итогами, в подразделениях и парторганизациях в ходе подготовки и проведения отчетов и выборов имелись недостатки и упущения. Пока не все коммунисты в полной мере осознали насущную необходимость коренных перемен во всех сферах деятельности и, в первую очередь, непосредственно в своих коллективах. Часть из них по-прежнему продолжала отмалчиваться. Некоторые доклады и выступления отличались парадностью, сглаживанием недостатков, безадресной критикой.

В ряде партийных организаций горрайорганов Абхазской АССР, Западной Грузии и Нижне-Карталинской зоны во время оценки работы партийных групп и цеховых парторганизаций за отчетный период коммунисты не проявили должной самокритичности и принципиальности, а признали ее удовлетворительной, несмотря на наличие существенных недостатков, которые со всей очевидностью проявились в экстремальных условиях.

Не соответствовали требованиям дня организация и проведение отчетов и выборов в первичных партийных организациях ОВДТ г. Кутаиси, СИЗО — 6 г. Зугдиди, цеховых парторганизациях ППС Батумского ГОВД, оркестра МВД ГССР, следственного отделения Сухумского ГОВД, подразделения по охране сооружений Тбилводоснабжения, ОК УВД Тбилгорисполкома, Ново-Афонского отделения Гудаутского РОВД, в партийных группах следственного отделения Орджоникидзевского РОВД г. Тбилиси, ОБХСС Гульрипшского РОВД, III-го взвода ОБ ДПС УВД г. Тбилиси, где собрания напоминали оперативные совещания, прошли без анализа проделанной членами КПСС работы, а многие выступления коммунистов носили декларативный характер.

В настоящее время политические органы и парторганизации органов внутренних дел республики принимают меры по обеспечению реализации критических замечаний и предложений, которые обобщены и направляются адресатам, информированию коммунистов о ходе их выполнения.

**В. ЦАГАРЕЙШВИЛИ,**
капитан милиции, начальник отделения организационно-партийной работы политотдела МВД ГССР.

# მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით

(დასასრული)

ტარებულ პროფილაქტიკურ საქმიანობაში, არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექცია ვერ უზრუნველყოფს აღრიცხვაზე აყვანილ არასრულწლოვნებთან ინდივიდუალურ-პროფილაქტიკური მუშაობის სათანადო დონეზე ჩატარებას, არ მიმართავს შესაბამის ღონისძიებებს იმ პირთა მაქსიმალურად გამოვლენასა და პასუხისგებაში მიცემისათვის, რომლებიც დანაშაულში ითრევენ არასრულწლოვნებს, ზოგჯერ დანაშაულის ჩადენის და სამართლებრივ დარღვევათა შესახებ არ ატყობინებენ იმ შრომით კოლექტივებს, სადაც მშობლები მუშაობენ, ხარვეზებია არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის მუშაობაშიც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მდგომარეობა საგანგაშოა, მიზეზები ბევრია, მაგრამ ძირითადი ისაა, რომ სამწუხაროდ, სასწავლო-სააღმზრდელო ორგანიზაციები არ გვიდგანან მხარში, იმ მოსაზრებით, რომ მოზარდის ცუდი საქციელი საყოველთაო მსჯელობის საგანი არ გახდეს და თვითონაც არ გაილანძღონ. სკოლა, ოჯახი, საზოგადოება, — თუ ეს სამკუთხედი არ შეიკრა, აღნიშნული პრობლემა არ გადაწყდება. გულგრილობა „სხვისი შვილის“ მიმართ კარგს არაფერს მოგვიტანს.

**ჯ. ბაბელია,**
გალის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტიკურ დარგში, მილიციის მაიორი.

# ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა თათბირზე

**ფოთში** გაიმართა ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა საქალაქო თათბირი, რომელმაც განიხილა საკითხები მიმდინარე წლის 9 თვეში სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლისა და სოცკანონიერების განმტკიცების საქმეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მოხსენება გააკეთა ქალაქის პროკურორმა თ. გეთიამ. თანამოხსენებებით გამოვიდნენ შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილე ზ. ხუნჯუა, სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ბ. ბარამია და ტრანსპორტის პროკურორი გ. ფაჩულია.

კამათში მონაწილეობდნენ: შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილე ბ. ჯალაღონია, ტრანსპორტზე შინაგან საქმეთა ქვეგანყოფილების უფროსი ნ. გვიჩია, საგამოძიებო ქვეგანყოფილების უფროსი ე. კვაჭაძე, სოცსაკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის ქვეგანყოფილების უფროსი ი. კვარაცხელია და სხვები.

თათბირზე გაანალიზებული იქნა გაწეული მუშაობის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. ქალაქში შემცირდა მოქალაქეთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და პირადი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა რიცხვი. რეგისტრირებული ჯერ არის მკვლელობის ან მისი მცდელობის, გაუპატიურების არც ერთი ფაქტი. ასევე დადებით ტენდენციად ჩაითვლება ის გარემოება, რომ გაუმჯობესდა სახალხო მეურნეობის ობიექტებზე სახანძრო უშიშროების მდგომარეობა, ამაღლდა სახანძრო დაცვის ქვეგანაყოფების საბრძოლო მომზადების დონე — გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით, ხანძრის შედეგად მიყენებული ზარალიანობა შემცირებულია ოცი პროცენტით.

მიუხედავად ამისა, ოპერატიული მდგომარეობა რთულია. კვლავ არის მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობის შემთხვევები, ხოლო სახელმწიფო ქონების ქურდობა 6 ერთეულითაა გაზრდილი. ქალაქის პროკურატურის მიერ სახელმწიფო ქონების დატაცებაზე აღძრულია 3 სისხლის სამართლის საქმე, მათ შორის ორი დიდი ოდენობის ფაქტისა, ჩატარებულია 67 შემოწმება ისეთ აქტუალურ საკითხებზე როგორიცაა სოცსაკუთრების მოვლა-პატრონობა, მიწერები, პროდუქციის მიუწოდებლობა, არასტანდარტული, უხარისხო პროდუქციის გამოშვება, შრომის კანონმდებლობის დაუცველობა. ყველა დარღვევაზე გაკეთებულია რეაგირება.

თათბირზე ითქვა, რომ კვლავაც უნდა გაძლიერდეს ბრძოლა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ, მკაცრი კონტროლი დაწესდეს ავტოტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობაზე.

არასახარბიელო მდგომარეობაა ტრანსპორტის მილიციაში, პირველ ყოვლისა, ამის მაჩვენებელია გაუხსნელ დანაშაულობათა რიცხვი. დღემდე არ არის დადგენილი, მაგალითად სარეჯიმო ტერიტორიიდან უცხოური ტვირთის გატაცების დამნაშავენი, ხოლო შემდგომში საზღვაო ვაჭრობის მაღაზია „ალბატროსის“ გაქურდვაც არ გახსნილა.

თათბირზე მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო მართლმსაჯულების განხორციელებაში სახალხო სასამართლოს როლის ამაღლების საკითხს.

თათბირმა ანალიზი გაუკეთა პროკურატურის, სახალხო სასამართლოს, შინაგან საქმეთა განყოფილების, მათი შიდა სამსახურების საქმიანობას და საჭიროდ მიიჩნია კიდევ უფრო აქტიური და ბრძოლისუნარიანი გახდეს მუშაობა და იგი მთლიანად პასუხობდეს გაზრდილ სადღეისო მოთხოვნებს.

**ლ. ჟოჟუა**
ფოთის პროფესიული სახანძრო რაზმის უფროსი.

**Сложные и ответственные задачи выполняют сегодня, в условиях обострения оперативной обстановки и межнациональных отношений, военнослужащие подразделений внутренних войск МВД СССР. Их совместные с сотрудниками милиции усилия во многом способствуют стабилизации положения в различных регионах Закавказья, являются надежной гарантией поддержания правопорядка и социалистической законности. Особая роль в этой работе отводится коммунистам, призванным личным примером, своим неустанным трудом цементировать воинские коллективы, мобилизовывать их на успешное выполнение служебно-боевых задач — таково было единодушное мнение участников состоявшегося на днях собрания партийного актива дислоцированных в Закавказье частей и подразделений внутренних войск.**

# Овладевать методами политического руководства

**ОСНОВНОЙ** целью собрания партийного актива, в работе которого приняли участие инструктор государственно-правового отдела ЦК КП Грузии У. Мезурнишвили, начальник Закавказского ОУИТ и ВС МВД СССР полковник В. Васильев, начальник отделения пропаганды и агитации политотдела МВД ГССР подполковник милиции И. Шарапов, было определение того, как партийные организации, коммунисты в условиях сложившейся в регионе общественно-политической ситуации овладевают на практике методами политического руководства, осуществляют меры по сплочению многонациональных воинских подразделений и мобилизации их на решение возложенных задач.

Выступивший на собрании партактива политработник, полковник В. Дулькин свой доклад посвятил задачам коммунистов подразделений внутренних войск в свете решений сентябрьского (1989 г.) Пленума ЦК КПСС о созыве XXVIII съезда партии, принятой пленумом программы национальной политики КПСС в современных условиях.

Основные усилия парторганизаций, всех коммунистов, подразделений внутренних войск сейчас необходимо сконцентрировать на претворении в жизнь решений пленума, на политическом обеспечении повседневных задач боевой и политической подготовки.



«Главное, что должно характеризовать стиль работы парторганизаций, партактива в период подготовки к съезду, — подчеркнул в своем выступлении полковник В. Дулькин, — это повседневная организаторская работа в подразделениях с тем, чтобы парторганизации на деле стали ведущей силой воинских коллективов, с опорой на которые должна вестись вся политическая и идеологическая работа в массах военнослужащих». Были отмечены позитивные сдвиги в деятельности ряда парторганизаций подразделений, руководимых коммунистами подполковниками В Клименко, В. Федоровым, А. Сулеймановым, Л. Выскребенцем, П. Волошиным, И. Степкиным, В. Дзарасовым, майором—А. Илюком, где проявляются инициатива и самостоятельность, творчество в работе.

Вместе с тем, практическое положение дел свидетельствует, что в целом ряде подразделений перестройка работы идет крайне медленными темпами, нет должной профилактической работы по предотвращению нарушений дисциплины и других негативных процессов в воинских коллективах.

На собрании был заслушан также отчет подполковника Б. Шарабидзе о работе парткомиссии при политотделе за период с декабря 1988 г. по октябрь нынешнего года.

Принявшие участие в прениях помощник начальника по работе среди комсомольцев, старший лейтенант В. Бондаренко, заместители командиров подразделений по политчасти подполковники Г. Коврижных и Коротченко, майор А. Ткаченко, капитаны М. Свиступ, С. Можаев, Г. Нудашвили дали принципиальную оценку состоянию партийно-политической работы в своих подразделениях, и имеющихся в ней недостатков, отметили ряд серьезных проблем, касающихся, в частности, качества подбора кадров, обеспечения жильем офицеров и членов их семей, решение ряда социально-бытовых проблем личного состава и т. д.

После горячего и заинтересованного обсуждения участники партийного актива приняли постановление, в котором, определили первоочередные задачи по совершенствованию форм и методов партийной работы.

**А. ЛОМИДЗЕ.**

სრულვყოთ აღმზრდელობითი მუშაობა

# დაკარგული პიროვნება — ჩაშლილი მუშაობის შედეგია

... **სამუშაოს** სრული ჩაშლისათვის, სსრკ შს მინისტრის ბრძანებისა და სხვა მითითებათა შეუსრულებლობისათვის, დაწესებულების უფროსი, შ/ს პოდპოლკოვნიკი რ. კოხრეიძე განთავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან...'

მაინც რა მოხდა? დაწესებულების არსებობის 6 წლის მანძილზე რას შეიძლება ჩაეშალა მუშაობა ისე, რომ გამასწორებელ საქმეთა სამმართველოს მიერ კომპლექსური შემოწმებისას მის ყველა რგოლს უკიდურესად არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიეცა.

რომ გადავხედოთ დაწესებულებაში პარტიულ-პოლიტიკურ და იდეურ-აღმზრდელობით მუშაობას, დაახლოებით ასეთი სურათი წარმოგვიდგა:

მუშაობა მიმდინარეობდა პერსპექტიული გეგმების შესაბამისად, რომლებიც მოიცავდნენ კონკრეტული ოპერატიულ-სამსახურებრივი პრობლემების გადაჭრასა და სხვა მოდუნებული სფეროების გააქტიურების საკითხებს.

უნდა აღინიშნოს, რომ პირადი შემადგენლობის 29 პროცენტი კომუნისტია, მათგან 18 ატესტირებული და მაინც სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა პარტიული ფენის და სტრუქტურის სრულყოფას.

1982 წლიდან (დაწესებულების დაარსებიდან) არცერთი თანამშრომელი არ ყოფილა მიღებული პარტიის წევრობის კანდიდატად, არადა კომკავშირლები პერსონალის 18 პროცენტს შეადგენენ მათ შორის ერთი ატესტირებულია. პარტორგანიზაციას არ შესწევდა უნარი რაიმე ბიძგი მიეცა ხელმძღვანელობისათვის მუშაობის გასააქტიურებლად და განსაკუთრებით ყურადღების ღირსია პოლიტდარგში დაწესებულების უფროსის მოადგილის თ. ჩეჩელაშვილის მუშაობა. კომპლექსური შემოწმების შემდეგ გატარებული ღონისძიებების შედეგად მან შედარებით გააქტიურა მუშაობა პირადი შემადგენლობის პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის და ოპერატიულ-სამსახურებრივი ამოცანების შესრულებაში კომუნისტთა ავანგარდული როლის გაზრდის საქმეში, მაგრამ გასაკეთებელი და მოსაგვარებელი მას კიდევ ბევრი აქვს, რადგანაც, როგორც ჩვენ ამაში დავრწმუნდით სპეცკონტინგენტთან მუშაობაში იგრძნობა საქმისადმი ფორმალური მიდგომა. ეს უმთავრესი საკითხი რატომღაც მეორე პლანზეა გადატანილი.

მრავალრიცხოვანი მითითებებისა და დირექტივების მიუხედავად ყურადღება არ ექცევა, ან ფორმალურ ხასიათს ატარებს პირად შემადგენლობასთან დამრიგებლობითი და ინდივიდუალურ-აღმზრდელობითი მუშაობაც, რის შედეგადაც სამსახურებრივი დისციპლინის თუ საწესდებო ნორმების არაერთ დარღვევას ჰქონდა ადგილი. ასე მაგალითად, მოხდა მსჯავრდადებულის გაქცევა, რისთვისაც დაწესებულების უფროსის მორიგე თანაშემწეს შ/ს კაპიტან რ. გუმბერიძეს გამოეცხადა პარტიული და ადმინისტრაციული საყვედური. მის მიმართ გატარებული ზომები ლოიალურად შეიძლება მოგვეჩვენოს, რამეთუ ამ ფაქტს უფრო ღრმად შესწავლა ესაჭიროებოდა.

ამ და სხვა მსგავსი ფაქტებით ადვილად შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ როგორი საშემსრულებლო დისციპლინა სუფევს დაწესებულებაში.

დაწესებულების ხელმძღვანელობამ გამოააშკარავა ფაქტი, როდესაც დაწესებულების უფროსის მორიგე თანაშემწემ რ. პაიკიძემ არაკანონიერი შეხვედრა მოუწყო მსჯავრდებულს, ამ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება, მაგრამ ერთხელ მრუდედ დატრიალებული ბორბლის გაჩერებას მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით თუ შესძლებს დაწესებულების მთელი კოლექტივი.

სსრ კავშირის შს სამინისტროსა და საქართველოს შს სამინისტროს კოლეგიის კრიტიკის მიუხედავად უკიდურესად სუსტად მიმდინარეობს მსჯავრდებულთა კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხი, რაც გარკვეულწილად ასუსტებს ჰუმანიზაციისა და აღმზრდელობითი მუშაობის პროცესს.

დაწესებულების ოპერატიულ მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას ახდენს ისიც, რომ იქ ჯერ კიდევ იმყოფებიან ეგრეთწოდებული „კანონიერი ქურდები“, რომელთა ნეგატიური გავლენაც მსჯავრდებულთა მასაზე გამორიცხული არ არის.

დაახლოებით ასეთია მდგომარეობა დაწესებულებაში, გასაკეთებელი და შეიძლება ითქვას ძირფესვიანად შესაცვლელი ბევრია, მაგრამ ნუ ვიქნებით პესიმისტები...

გამასწორებელი დაწესებულება, მსჯავრდებულთა მორალური და ზნეობრივი გაჯანსაღების საქმეს ისე უნდა ემსახურებოდეს, რომ იქედან დაბრუნებული კაცი საზოგადოებისათვის დაკარგული არ აღმოჩნდეს, სწორედ ეს პრინციპი უნდა დაედოს საფუძვლად მომავალში დაწესებულების მუშაობის გარდაქმნას.

**ა. დარჯანია,**

**საქართველოს სსრ შს სამინისტროს პოლიტგანყოფილების ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის ქვეგანყოფილების ინსტრუქტორი, შ/ს მაიორი.**

## . ТОЛЬКО ФАКТЫ

**▲ 8 ноября в г. Телави около швейной фабрики неустановленный преступник вырвал из рук Марии П. сумку с 120 рублями и носильными вещами. Принятыми мерами установлен и задержан Алексей Н., временно неработающий, проживающий в с. Калаури Гурджаанского района.**

**▲ 11 ноября сотрудниками Заводского РОВД г. Кутаиси задержан Гиви Ж., ранее судимый, колхозник села Маглаки, у которого изъято 700 г гашиша, 4 г опиума и 5 таблеток нокирона.**

# „ნადიმი“ საქარე მინასთან?



**დღეს,** ავტომანქანების სიმრავლის და მაღალი სიჩქარეების ეპოქაში, სამწუხაროდ, კვლავაც გვხვდებიან სხვადასხვა ჯურის „ავტოხულიგნები“, რომლებიც არაფრად დაგვიდევენ მოძრაობის უსაფრთხოების წესებს და ქმნიან საავარიო მდგომარეობას, ხშირად ტრაგიკული შედეგით.

თეთრიწყაროში იშვიათი სურათის მხილველნი გავხდით. შს რაიგანყოფილების სახელმწიფო ავტოინსპექციის თანამშრომლების მიერ თავიდან იქნა აცილებული კიდევ ერთი უბედური შემთხვევა — დროულად ალიკვეთა სატვირთო ავტომანქანის „ჯირითი“, რომლის წინა საქარე მინასთან „შესკუპებული,“ მძღოლთან ერთად ღვინით გაბრუებული „მგზავრები“ (როგორც ეს სურათზეა გამოსახული) აგრძელებდნენ „თავიანთ ნადიმს“.

უყურებ ამ სურათს და გიკვირს თუ სადამდე უნდა დავიდეს ადამიანის უპასუხისმგებლობა, სადამდე უნდა „გაშალოს ფრთები“ მისმა „ფანტაზიამ“ და „თავგანწირვამ“, საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეთა მიმართ დამნაშავეობრივმა ქმედებამ.

## Советская милиция

**ВЫШЕЛ** в свет очередной, десятый в нынешнем году номер журнала «Советская милиция», который открывается публицистическими заметками Ю. Дойникова «Как живешь, наш общий дом?» и подборкой фотоматериалов, посвященных Дню Конституции СССР.

Под рубрикой «Говорят народные депутаты СССР» в номере публикуется статья члена Верховного Совета СССР дважды Героя Советского Союза В. Горбатко, под рубрикой «Курс партии: власть — советам» — статья председателя исполкома Калужского областного Совета народных депутатов А. Стеликова «...Из плена иллюзий». Вопросам создания нормальных условий для труда, отдыха, удовлетворения жилищных и иных бытовых нужд сотрудников органов внутренних дел, посвящено интервью, взятое внештатным корреспондентом журнала С. Курило у начальника УВД Харьковского облисполкома генерал-майора А. Бандурка.

Проблемам повышения авторитета работников милиции посвящена подборка писем читателей «Как вернуть авторитет?». В номере опубликованы также очерк подполковника милиции В. Панченко о заместителе начальника Файзабадского РОВД по политчасти майоре милиции Х. Давляшоеве.

Несомненный интерес для читателей представляют посвященная Дню рождения комсомола и молодежным проблемам беседа корреспондента журнала майора милиции А. Ермолаева с секретарем ЦК ВЛКСМ С. Епифанцевым, статья «Организованная преступность — реальность», исторический очерк о возглавившем после смерти Ф. Э. Дзержинского Наркомат внутренних дел Александре Георгиевиче Белобородове «Жизнь и гибель наркома», другие публикуемые в номере материалы

# გამომძალველი ამხილეს

...**ტყიბულის** შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებაში გამოცხადდა მოქ. ს. ე. აღელვებულმა და შიშისაგან სასოწარკვეთილებამდე მისულმა ქალმა ძლივს გვიამბო, რომ მარტის თვეში მიიღო უხამსი ლანძღვა-გინებით სავსე მუქარის წერილი, რომლითაც უცნობი პირი ითხოვდა 5000 მანეთს, წინააღმდეგ შემთხვევაში სიცოცხლეს გამოასალმებდა.

წერილის მიღებიდან რამოდენიმე დღის შემდეგ, ს. ე-ს ბინაში მივიდა მისი ნაცნობი ვ. პ-ი და მოინახულა იგი. სტუმარმა უთხრა ს. ე-ს რომ მას შეხვდა უცნობი მამაკაცი და ჰკითხა ხომ არ მისცა ს. ე-მ მისთვის განკუთვნილი პაკეტი.

საკმაოდ ხანგრძლივი საუბრით ვ. პ-მა დაარწმუნა მარტოხელა პენსიონერი, რომ გაეცა დასახელებული თანხა და გადაერჩინა თავი უბედურებისაგან.

ს. ე-მა შემნახველი სალაროდან გამოიტანა 3000 მანეთი და მისცა ვ. პ-ს იმ უცნობი მამაკაცისათვის გადასაცემად, რომელიც სიკვდილით ემუქრებოდა მას.

თანხის გაცემის შემდეგ ს. ე-მა თავი დაიმედა, რომ საფრთხემ გაიარა, მაგრამ... ათიოდე დღის შემდეგ მუქარა კვლავ განმეორდა და ამჯერად უფრო შემაშფოთებლად ვიდრე თავდაპირველად, რადგან მუქარის წერილების „ნიაღვარი“ წამოვიდა (სულ მიიღო 13 მუქარის წერილი). უცნობი ბოროტმოქმედი დაჟინებით მოითხოვდა მიეცათ მისთვის „დარჩენილი კუთვნილი თანხა“ 2000 მანეთის ოდენობით.

მუქარის „სერიიდან“ რამოდენიმე დღის შემდეგ ს. ე-ს ბინაში კვლავ ესტუმრა ვ. პ-ი, რომელმაც ჩვეულებისამებრ დაუწყო დარწმუნება ს. ე-ს თავის გადასარჩენად გაეცა ეს თანხა.

ს. ე.-ი მართალია კი დაჰპირდა ვ. პ-ს რომ დარჩენილ 2000 მანეთს მისცემდა უცნობი მამაკაცისათვის გადასაცემად, მაგრამ მის კეთილმოსურნეობაში ეჭვი შეეპარა.

ჩაუფიქრდა რა თავის მდგომარეობას ს. ე.-ი მიხვდა თავის შეცდომას, ამიტომ თავისი ამბავი საიდუმლოდ გაანდო და რჩევა ჰკითხა ნ. ი.-ს, რომელმაც ურჩია დაუყოვნებლივ განეცხადებინა მილიციაში და დაეწერა განცხადება, მართლაც ს. ე. ასე მოიქცა.

კარგად იმუშავა ოპერატიულმა ჯგუფმა უფროსი გამომძიებლის, მილიციის კაპიტანის თ. ფერაძის, სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი ოპერრწმუნებულის, მილიციის კაპიტანის ჟ. ზაუტაშვილის ოპერრწმუნებულის, მილიციის კაპიტანის რ. ლობჟანიძისა და უბნის ინსპექტორის, მილიციის ლეიტენანტის ა. ბარბაქაძის შემადგენლობით.

მეთვალყურეობის ქვეშ იქნა აყვანილი როგორც ს. ე-ს ბინა, ასევე ვ. პ-ს საქმიანობა და შედეგმაც არ დააყოვნა. ს. ე-მ 3 დღეში მუქარის 2 წერილი მიიღო და უკვე თვითონ დაუკავშირდა ვ. პ-ს, აჩვენა წერილები და „თხოვა დახმარება“, აღუთქვა, რომ გასცემდა 2000 მანეთს ოღონდაც თავი დაენებებინა მისთვის. იგი შეუთანხმდა ვ. პ-ს რომ თავის ბინაში მისცემდა აღნიშნულ თანხას. მართლაც დათქმულ დროს ბინაში შეხვდა ერთმანეთს „სტუმარ-მასპინძელი“, ვ. პ-მ მიიღო „გადასაცემი“ თანხა და ის-ის იყო ბინიდან გამოსვლას აპირებდა, რომ „დაუპატიჟებელი სტუმრები“ — მილიციის მუშაკები დაადგნენ თავზე და საიდაც ჯერ არის იქ მიაბრძანეს ნივთიერ მტკიცებასთან ერთად.

**თ. ცქიფურიშვილი,**

**ტყიბულის შს საქალაქო განყოფილების უფროსი.**

# Будни спецмедслужбы

**Как ведется у нас в городе борьба с пьянством?**

**Нередко видим мы на улицах Тбилиси синенький «рафик» с надписью «спецмедслужба». Об этом учреждении ходят разные слухи: вроде бы существует какой-то план и нужно задержать людей побольше. Многие еще говорят, что там пьяниц обливают холодной водой, забирают у них деньги, бьют.**

...**ЧЕТЫРЕ** часа дня. В приемной пока пусто.

Раздается телефонный звонок, и через полминуты экипаж микроавтобуса в составе водителя сержанта милиции Э. Ираджули и членов экипажа младшего сержанта Б. Гатикаева, сержанта И. Азизбекова и рядовых милиции Г. Багдасарова и И. Чекуришвили, выезжают по вызову в другой конец города.

— Постоянной «клиентуры» у нас немало,—говорит начальник медвытрезвителя УВД Тбилгорисполкома подполковник милиции К. Шукакидзе,—однако среди тех, которые побывали у нас, есть так сказать рекордсмены. Например: В. Шотаишвили, временно неработающий, проживающий в Тбилиси по улице Мнатобской, побывал в нашем учреждении 6 раз, Г. Петров, безработный, проживающий по улице Верхнее-Ваке, 6 раз, а житель улицы Сенакской О. Микиртычян, временно неработающий,—5 раз. Как видите, в основном все наши частые посетители — временно неработающие, и если бы по месту их жительства потревожили участковые инспектора, трудоустроили их, то у них не осталось бы времени для пьянок. А так за девять месяцев текущего года к нам были доставлены 3005 человек, из которых 926 мы выпустили, так как у них было легкое опьянение. Среди помещенных в медвытрезвитель за 9 месяцев 2020 мужчин и, 59 женщин, — 1151 рабочих, 290 служащих, 33 колхозника, 34 студента и т. д. Большое количество выпивающих, продолжает К. Шукакидзе, это молодежь в возрасте от 18 до 28 лет, которая составляет более 40 процентов среди доставленных.

Тем временем вытрезвитель заполняется. Вечер оказался «урожайный». Доставленных встречают, осматривают, регистрируют. Потом раздевают, укладывают спать. Утром работникам вытрезвителя придется провести кропотливую работу по выяснению личности каждого, не имеющего документов...

Не слишком-то чистая и уважаемая работа, но, увы,



нужная людям. Пьянство спряталось сегодня, ушло в подполье. Уже не пьют в пельменных и закусочных, но стаканами все еще звенят. ...А пока во дворе вытрезвителя снова заработал мотор автомашины. Экипаж спешит на «операцию» — подобрать очередного пьяницу.

**А. МАЛАЯНЦ.**

ПО МАТЕРИАЛАМ ГЛАВНОГО ИНФОРМАЦИОННОГО ЦЕНТРА МВД СССР

# Милиция: оказание платных услуг по договорам государственным и кооперативным организациям

**ПО РЕШЕНИЮ** исполкома краевого Совета народных депутатов УВД Ставропольского крайисполкома и его подразделениям на местах предоставлено право заключать договоры с государственными организациями об оказании платных услуг по охране общественного порядка и имущества, не предусмотренных действующими нормативными актами.

В перечень таких услуг включены: сопровождение автоперевозок групп людей, крупногабаритных, опасных и иных грузов; обеспечение общественного порядка при проведении массовых зрелищных, спортивных и иных мероприятий, имеющих коммерческий и рекламный характер (за исключением общественно - политических, благотворительных и т. д.); хранение поврежденных, неисправных и задержанных транспортных средств (кроме хранящихся по распоряжению судебных и следственных органов); охрана ценностей и денежных средств. Их выполнение осуществляется сотрудниками милиции за счет свободного от службы времени с оплатой по договорам.

ФПО УВД Ставропольского крайисполкома произведена калькуляция расценок на услуги по охране общественного порядка, государственной, кооперативной и личной собственности, согласно которой 1 час работы сотрудника милиции оплачивается в размере 2,4 руб. (из расчета среднего заработка рядового, младшего и среднего начсостава с применением коэффициента 1,5—2), 1 час использования автомобиля ВАЗ, «Москвич» в пределах города — 4 руб., за его пределами — 10 руб., автомобиля «Волга» — соответственно 5 и 12 рублей (прейскурант № 13—03—01 «Единые тарифы—на транспортно - экспедиционные услуги, оказываемые населению»).

Хранение в течение 1 суток неисправных, поврежденных, задержанных автомототранспортных средств оплачивается в следующих размерах: мотоцикл без коляски, мотороллер—15 коп., мотоцикл с коляской — 25 коп., легковой автомобиль или прицеп к нему—50 коп., микроавтобус — 75 коп., автобус и грузовой автомобиль — 1,2 руб.

До 20 процентов денежных средств, поступивших на расчетные счета УВД-ОВД, расходуются на возмещение затрат по эксплуатации автотранспорта, остальные — на поощрение личного состава, культурно - просветительные цели и строительство жилья.

**Подробную информацию по данному вопросу можно получить в УВД Ставропольского крайисполкома.**

## რეპლიკა

**ჩვენი** გაზეთის ფურცლებზე არაერთხელ გვქონია საუბარი მილიციის თანამშრომლის ქცევაზე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. რა დასამალია და ჩვენს არაერთ თანამშრომელს „გამოუჩენია" თავი უხეშობით თუ შეუფერებელი მოქმედებით, რაც საზოგადოების თვალში დაბლა სცემს საერთოდ მილიციის ავტორიტეტს.

ამ დღეებში „მებრძოლი გუშაგის" რედაქციაში შემოვიდა ა. ჩაჩუას წერილი.

# სამაგალითოდ არ გამოდგება

**„...ავტოინსპექტორებს მეტი ზრდილობა და თავაზიანობა მართებთ, რადგანაც მათი ყოველი ჟესტი თუ სიტყვა. მიუხედავად იმისა დარღვეული იქნა თუ არა მოძრაობის წესები, მძღოლს უპირისპირდება.**

**ამას წინათ მეტრო „ისანის" წინ ავტოინსპექტორმა გამაჩერა, იგი საკუთარი თავის წარდგენის და წესებით დაკანონებული ფორმის დარღვევით (უქუდოდ) მოიჭრა მანქანასთან და როგორც ძებნილ დამნაშავეს ისე დამიწყო ყვირილი და საბუთების მოთხოვნა. ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა მისმა ქცევამ, როდესაც მე მას გვარი ვკითხე:**

**„ეგ მაკლია შენ წარმოგიდგეო, ჩემი გვარი შენთვის არაფერი საჭირო არ არისო..."**

**„მისი ჟეტონის ნომერი იყო 0056."**

ძნელია ამ წერილს რაიმე კომენტარი გაუკეთო, ან ავტორს შენი კოლეგის დასაცავად რაიმე არგუმენტი წაუყენო, თუნდაც იმიტომ, რომ ამ ბოლო დროს ქალაქის შს სამმართველოსა და სახელმწიფო ავტოინსპექციის ხელმძღვანელობის თაოსნობით ავტოინსპექტორებთან დაიწყო სწავლება ეთიკის, ქცევის ნორმების და ასე განსაჯეთ, მეტყველების კულტურის საკითხებისაც კი. ხოლო რაც შეეხება მილიციის უფროს ლეიტენანტ გელბაშიშვილს (როგორც შემდეგ გავიგეთ მისი ვინაობა) ვფიქრობთ ამ შემთხვევაში მისი მოქმედება არც პროფესიული ეთიკის და არც ზნეობრივი ნორმების მოთხოვნების სამაგალითოდ არ გამოგვადგება.

წერილის ავტორს და რედაქციას აინტერესებს თუ როგორია ამის თაობაზე ქალაქის სახელმწიფო ავტოინსპექციის ხელმძღვანელობის აზრი.

ეს ნაწარმოები აგებულია დოკუმენტურ მასალაზე, მასში მოქმედი გმირების სახელები და თანამდებობანი გასაგები მიზეზების გამო მთლიანადაა შეცვლილი. ავტორი შეეცადა გადმოეცა ის გიგანტური შრომა, გამჭრიახობა და უნარი, რომლითაც არიან დაჯილდოებული შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები, ის თუ, როგორი სავალალო შედეგი მოსდევს დისამინჯიების მაგვარი ადამიანების მომხვეჭელობასა და საქმოსნობას. ავტორის მიზანია უჩვენოს მკითხველს ზოგიერთი ადამიანის მორალური დაცემის, გახრწნის პროცესი და ამის საპირისპიროდ პატიოსანი საბჭოთა მოქალაქეების ხასიათები.

...**უკვე** მეთორმეტე დღეა, რაც რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, გენერალ-მაიორი ტარიელ ვარდოსანიძე ოჯახში გვიან ღამით ბრუნდება სამსახურიდან და მომავალი დღის განთიადს კვლავ სამსახურში ხვდება საქაღალდეში თავჩარგული.

ამ დილითაც, სამუშაო დღის დაწყების წინ გენერალმა კიდევ ერთხელ გულდასმით გადაავლო თვალი წინა დღით შემოსულ ფოსტას და გადამცემში დინჯად და გარკვევით ჩასძახა:

— მაიორ ხომერიკს სთხოვეთ ჩემთან შემოვიდეს!

...გენერალი ამ თხუთმეტიოდე ერთვოდა თან, მაგრამ იმდენად მაღალ დონეზე ფლობდა საკუთარ პროფესიას, რომ ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა ბრძოლის ველიდან. ისეთი გამჭრიახობითა და გონებამახვილობით, რომელსაც მაიორი ოთარ ხომერიკი ფლობდა, ბევრი ვერ დაიკვეხნიდა. ინტუიციის შეგრძნებას თუმცა ვირტუოზულად იყო დაუფლებული, მაგრამ თავის მუშაობაში პრაქტიკული დასკვნებით ხელმძღვანელობდა. ყოველ საქმეს მინიატურული სამკაულების დიდოსტატივით მოთმინებით ჩაჰკირკიტებდა და მანამდე არ შეეშვებოდა, სანამ მის ყოველ ნიუანსს არ ჩასწვდებოდა, სანამ მისაგნებელს არ მიაგნე-

## გ. თოფურია

# განსხვავებული ცრემლები

წლის წინათ მოვიდა შინაგან საქმეთა ორგანოებში სამუშაოდ. მილიციაში მოსვლამდე მან დიდი ცხოვრებისეული გზა განვლო.

დიდმა სამამულო ომმა ტარიელს (თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამამთავრებელ კურსზე მოუსწრო. იგი ერთ-ერთი პირველთაგანი შევიდა მოხალისედ საბჭოთა არმიის რიგებში. თავისი საბრძოლო გზა არტილერიის უმცროსი ლეიტენანტის წოდებით დაიწყო, როგორც ოცეულის მეთაურმა და მაიორის წოდებით დაამთავრა ბერლინის მისადგომებთან, როგორც არტილერიის ბატალიონის მეთაურმა. ბრძოლებში მიღებულმა მძიმე ჭრილობებმა ტარიელს ჯანმრთელობა შეურყიეს, მაგრამ მისი ნებისყოფა ვერ გატეხეს. ის იყო ორმოცდაათ წელს მიტანებული ბრგე მამაკაცი, მუდამ მოძრავი სხეულითა და დაუდგრომელი სულით. კისრის არეში მტრის ყუმბარის ნამსხვრევისაგან დანატოვარი ნაჭრილობევი, თითქმის ნიკაპამდე ასდევდა, მაგრამ მის გრანიტისებური ნათელი პირსახის ნაკვთებს იმდენად შეხამებოდა, რომ ბუნებრივიც კი გეგონებოდათ.

ბრძოლებში მიღებულ ორდენებსა და მედლებს ტარიელმა ორგანოებში მუშაობისას კიდევ რამოდენიმე მთავრობის ჯილდო შემატა. მან თავი გამოიჩინა, როგორც ყოველმხრივ ერუდირებულმა, პრინციპულმა და თავდადებულმა მუშაკმა, რისთვისაც მრავალგზის იქნა დაჯილდოვებული, რესპუბლიკისა და საკავშირო უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელებით, ორდენებითა და მედლებით. მრავალჯერ იყო არჩეული რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ მისი ეს დამსახურება სამშობლოსა და ხალხის წინაშე და იგი რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ დააწინაურეს, სადაც უფრო მეტად წარმოჩინდა მისი ორგანიზატორული ნიჭი და უნარი...

გენერლის კაბინეტში ელეგანტური აღნაგობის მაიორი შემოვიდა.

— დაბრძანდით და აი ეს საჩივრები გულდასმით შეისწავლეთ! გენერალმა საქაღალდე გადასცა მაიორს და დასძინა — როგორც ჩანს მაგ რაიონში ყველაფერი რიგზე არ უნდა იყოს.

მაიორმა ოთარ ხომერიკმა საქაღალდე გადაშალა და შემოსული საჩივრების კითხვა დაიწყო.

სამინისტროში იგი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი საქმეების უფროს გამომძიებლად მუშაობდა. მას იცნობდნენ როგორც ერთ-ერთ ენერგიულ და თავდადებულ მუშაკს. იგი გამოირჩეოდა თავისი თვითმყოფადობითა და ერთობ დახვეწილი ტაქტით, რომელსაც ხშირად დიდი რისკი და გამბედაობა ბდა, სანამდე ყოველ მათგანს თავის ადგილს არ მოუძებნიდა. ყოველი ინდივიდისადმი იმდენად კომპეტენტური, სამართლიანი და მართებული იყო, რომ თვით დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებშიც ერთგვარი სიმპატიებითაც კი სარგებლობდა, რაც დიდ იშვიათობას წარმოადგენს...

ახლაც გენერლის კაბინეტში მჯდარმა ოთარმა ხუთჯერ მაინც გულდასმით წაიკითხა ზემოთ აღნიშნული საჩივრები. მერე რამდენიმეჯერ თავის გონებაში გააანალიზა და მხოლოდ ამის შემდეგ მიმართა გენერალს:

— ამხანაგო გენერალო, მთლიანად ვეთანხმები თქვენს მოსაზრებას.

— მაიორო, ხვალვე უნდა გადაფრინდეთ აღნიშნულ ობიექტზე და თქვენთვის ჩვეული ენერგიით დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეთ ამ დახლართული საქმის გარკვევას. თქვენ იცხოვრებთ ქალაქის განაპირას ექის ქუჩა № 59-ში ალექსანდრე ჩანცხავას ბინაში. იგი მარტოხელაა, დახმარება თუ დაგჭირდეთ ყოველთვის გქონდეთ მისი იმედი. რაიკომის პირველ მდივანს უკვე მოვეთათბირე თქვენს შესახებ. თქვენ იქ დაინიშნებით სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსად. თქვენი სეიფი შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსის კაბინეტში იქნება მოთავსებული, სადაც შეუფერხებლად შეგეძლებათ შესვლა დროის ნებისმიერ მონაკვეთში. ერთი სიტყვით დიდი ოპერატიულობა გმართებთ. იმედი მაქვს რომ ღირსეულად შეასრულებ შენზე დაკისრებულ მოვალეობას.

თავისი ბოლო სიტყვებით გენერალი იმას მიაპყრობდა მაიორის მთელ ყურადღებას, რომ იგი ყოველი მოულოდნელობისათვის უნდა ყოფილიყო მზად, რადგან გენერალმა ზედმიწევნით კარგად იცოდა, რომ იმ დროისათვის რესპუბლიკაში მოდუნებული იყო ყოველგვარი შრომითი, თუ ყოფითი დისციპლინა და ამგვარი განუკითხაობის პირობებში ადვილი შესაძლებელი იყო, რომ საქმისადმი მცირედი ყურადღების მოდუნებას შეეწირა ისეთი გამოცდილი მუშაკის სიცოცხლეც კი, როგორიც მაიორი ოთარ ხომერიკი იყო...

გენერლის კაბინეტიდან გამოსული მაიორი თავის კაბინეტში შევიდა, საწერ მაგიდას მიუჯდა და ერთხელ კიდევ გადახედა საქაღალდეში ჩაწყობილ საჩივრებს. ერთი მათგანი იმდენად საყურადღებოდ მოეჩვენა, რომ თითქმის გაიზეპირა. კარგახანს ჩაფიქრებული ჩასცქეროდა, შემდეგ გადაკეცა და უბის წიგნაკში ჩაიდო.

●

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

## ЗАРУБЕЖНЫЙ КАЛЕЙДОСКОП





# Спасательный рукав

В 1980 ГОДУ во время пожара, случившегося в одном из отелей Лас-Вегаса, погибло 84 человека. Пожарные прибыли вовремя, но лестницы не доходили до верхних этажей здания.

Ральф Бейкер, владелец одной из автопогрузочных фирм штата Делавэр, видел этот пожар по телевизору. Последствия этого бедствия глубоко потрясли Бейкера. В результате он сконструировал из нейлоновой сетки специальный спасательный рукав, пригодный для спуска попавших в беду людей с высоты двадцатого этажа. Изобретение предельно просто — спасающийся влезает в рукав ногами вперед и скользит, регулируя скорость спуска руками.

## სპორტი

# საყურადღებო პუბლიკაციები

**გაზეთ** „სოვეტსკი სპორტის" 25 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა წერილი „რასაც ვერ შესძლებს ვერც ერთი მინისტრი".

გაზეთმა 6 სექტემბერს დაბეჭდა კორესპონდენცია კრასნოიარსკიდან, რომელშიც ლაპარაკი იყო ქალაქში ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში დანაშაულის ზრდის შესახებ. მთელი სიმწვავით იყო დაყენებული საკითხი მილიციის თანამშრომელთა სუსტი სპორტული მომზადების გამო. შექმნილი მდგომარეობის შესასწავლად ადგილზე ჩავიდა საკავშირო სამინისტროს კომისია, რომლის მუშაობის დამთავრების შემდეგ გაზეთი აქვეყნებს ინტერვიუს კომისიის ხელმძღვანელთან, სსრ კავშირის შს სამინისტროს კადრებისა და სასწავლო დაწესებულებების მთავარი სამმართველოს უფროს ინსპექტორთან, პოლკოვნიკ ზ. ბახაევთან და „დინამოს" ცენტრალური საბჭოს შს ორგანოების ფიზიკური მომზადებისა და სპორტის განყოფილების უფროს ინსპექტორ-მეთოდისტთან, რსფსრ დამსახურებულ მწვრთნელთან, მაიორ ა. კუპცოვთან.

ინტერვიუში ერთი ქალაქის მილიციის მაგალითზე თვალნათლივ ჩანს ჩვენი თანამშრომლების დაბალი დონე ფიზმომზადებასა და სროლაში.

ინდექსი 66689

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.

ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 95-66-72; 99-1-41-24.

რედაქტორი ა. კობალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. უე 14328